# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 757

დამატების № 135

კვირა, 25 დეკემბერი 1916 წ.




წმ. ოჯახი. სურ. მიქელანჯელოსი.



ღვთისმშობელი. რაფაელის.

# დიდება სამშობლოს

(ფინური).

იუხანი ახოსი.

იმპერატორ ალექსანდრე II-ს ძეგლთან დიდი დღეა, ყვავილთა დღე. *)

ძეგლის კვარცხლბეკი ჩაფლულია ყვავილებში. მოედანი გაჭედილია ხალხით. ჩურჩულიც კი არ ისმის, მდუმარებაა ყველგან, თითქოს ვინმეს აბარებენ სამარესო. აქა-იქ მოსჩანან ჟანდარმები.

წესიერების დამცველი—ყოფილი ჯარისკაცი—ყვავილების გორაკთანა სდგას სადარაჯოზე. სდგას მშვიდი, დინჯი. სახეზე არც სიხარული აშჩნევია, არცა ნაღველი, მაგრამ მის ცისფერ თვალთა სიღრმეში ვკითხულობ მის ფიქრის მოძრაობას.

— რად დამაყენეს აქ, ჰა? სადარაჯოდ? ყვავილები? მაგრამ ხელს ხომ არავინ ახლებს. პირიქით, ყველას მხოლოდ სურს ყვავილები მოუმატოს და მოუმატოს. ან იქნებ—წესრიგია დასაცავი? მაგრამ ყველა რომ თვითონ უკეთ იცავს წესიერებას? ნაბრძანები მაქვს ვიდგე აქა, ვიდრე უკანასკნელი მნახველი არ წავა აქედან. ამ შემთხვევაში ალბად მთელი ჩემი სიცოცხლე აქ მომინდება დგომა. სამაგიეროდ საპატიო სადარაჯოზე ვდგევარ, მეფისა და ძირითად კანონების პატივსაცემად რომ არის დაწესებული...

ხალხი ფსალმუნსა ჰგალობს. „ღმერთი ჩვენი—სასოა ჩვენი, საფარველი“, ისმის უნივერსიტეტის შესავალთან და ამ საგალობელს ბანს აძლევენ ნიკოლოზის საკრებულო ტაძრის კალთებიდან. ყველა ქუდ-მოხდილია. წესიერების დამცველიც იხდის ქუდსა და სდგას. ქუდს მარცხენა ხელში იჭერს, როგორც ლოცვის დროს, სალაშქროდ გასვლის წინ რომ ისმენენ ხოლმე.

— ეჰ, მშვენიერი ფსალმუნი იყო...

იგი ნელა იხურავს თავზე ქუდსა, ცრემლი ადგია თვალზე. რომ არავის შეამჩნევინოს, იქით მიტრიალდება და ისე იქცევა—ვითომ ყვავილებს ვათვალიერებ ძეგლის კვარცხლბეკთანო.

— საუცხოვო ფსალმუნი იყო, საუცხოვო...

უცებ ახალი სიმღერა გაისმის კვლავ. ეს—„ჩვენი სამშობლო“-ა. კვლავ ქუდს იხდიან. წესიერების დამცველსაც სწრაფად მიაქვს ქუდთან ხელი. მაგრამ მაშინვე შეხტება, ხელს დაბლა სწევს, კიდევ იღებს მაღლა, მაგრამ ნახევრად, ნახევრად. კვლავ სწევს ძირსა და, ეტყობა, არ იცის რა ჰქნას.

— ეს აღკრძალულია... ჰო... აღკრძალული გვაქვს სალამი მივცეთ ჩვენს ეროვნულ სიმღერას. აგერ ჟანდარმები ქუდიანები დგანან, ხელებ-ჩამოშვებული.

ყოყმანობს წესიერების დამცველი, თავის თავს ებრძვის. ხელს ხან მაღლა სწევს, ხან ისევ ეშვება დაბლა, ხან თითქოს სცდილობს ხელი ქუდთან გაიჩეროს...

ვინ იცის, იქმნება ადგილიდან გამოაგდონ... სამსახური წაართვან... ცოლი და შვილები ულუკმაპუროდ დაურჩნენ... ყველა წესიერების დამცველთ სცვლიან თანამდებობიდან, სამსახურიდან აყენებენ, ვგონებ უფროსსაც კი... ვიღა დაიჭერს ჩვენს ადგილს? ჟანდარმები, აგერა აიქ რომ სდგანან!



† ნინო საყვარელიძე (მომღერალი).

იხ. „სახ. ფ.“ № 745.

ხელი ჩამოუშვა ძირს, აიწია, ისევ ჩამოუშვა. მაგრამ უფრო მეტი მოკრძალებით, მეტი იმედით და ძალით ამოჰგუგუნებს ათას[illegible] გულიდან სიმღერა.

*) ამ მოთხრობის შინაარსი 1899 წელს ეკუთვნის, როცა ფინები იმით უცხადებდნენ ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის ნ. ბობრიკოვის პოლიტიკას უკმაყოფილებას რომ ალექსანდრე II-ს ძეგლს ყვავილებითა რთავდნენ, ჰმღეროდნენ ფსალმუნს „ღმერთი ჩვენი—სასოა ჩვენი, მფარველი“ და ფინურ ეროვნულ ჰიმნს „ჩვენი სამშობლო“. არენ'ერგი თავის წერილებში ამბობს, რომ ალექსანდრე III-მ სალამი მისცა ფინურ ჰიმნის შესრულების დროსა. მაგრამ ვ. პლევესგან დალოცვილ ბობრიკოვს როგორ მოეთხოვებოდა ეროვნულ გრძნობებისადმი საუთი მოპყრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების წევრები.

— იჰ,—ეს ჩემი სამშობლოს სიმღერაა! ეს სიმღერაა ჩემი ერისა! მაშ რას მივესალმო, თუ არა მას!.. დეე იყვეს, რაც იყვეს!.. დეე რაც უნდა მოხდეს, მივცემ, მივცემ სალამს!

ხელს ქუდთან იტაცებს და ისე უჭირავს, სალამს აძლევს. თითქოს უბრძანესო, გაჭიმული სდგას ხალხის წინაშე და სიმღერის გათავებამდე, სამშობლოს სიმღერის გათავებამდე სდგას ისე, თითქოს მიუწებებიათ იმ ადგილზეო, სდგას ტანადი, მოყვანილი, ვით ბრინჯაოს ქანდაკება, სდგას ხალხისკენ მიბრუნებული, იმედიანი, რომ ძირითად კანონთა ფარი მის მხარეზე არის, მის მხარეზე. მშვიდობა, სათნოება და იმედი უბრწყინავს სახეზე, ბედნიერებით ანთებია თვალი. უცმაცუნებს ტუჩები, ჩუმად ასდევს სიმღერის უკანასკნელ ჰანგს.

სადღაც, ხალხში, ქალის ხელი გამოჩნდება.

პატარა თაიგული გადმოითამაშებს ჰაერში, იქ მდგომთა თავზე და წესიერების დამცველის წინ დაეცემა.

იხრება წესიარების დამცველი, იღებს ყვავილებს და ვიდრე სამშობლოს „ვაშა“-ს დაუგუგუნებდნენ, სდებს მათ ლომის—კანონიერების ლომის კვარცხლბეკთანა.

სანგანიძე.

# მაშვრალთა ხვედრი

(სურათი).

I

— პური მშიან დედა, პური, ფეხებზედაცა მცივა, სენ ალ დამპილდი კარგ კოპწია ფეხსაცმელებს გიყიდიო, შობას ხომ ფეხშიშველი ალ ვიქნები!..

— მეც მაშინ, დედილო, მეცა, ალც მე მაქვს კაბა და ფეხსაცმელები!..—ეტიტინებოდნენ პელაგოს პატარა ბაღლები.

— ეხლავე მოიტანს პურსა და შაქარს ვანო, ეხლავე, ცოტა კიდევ მოიცადეთ, ალბად ჯერ არ გამოუცხვიათ!..—აშოშმინებდა პელაგო შვილებს და თან გულს უღრღნიდა მწარე ნაღველი.

— ეჰ, განა ჩვენს გაჩენაშიაც ღმერთი ურევია?!.. როდემდის უნდა ვატყუო ასე? გუშინაც, პურის ლოდინში მიეძინათ მშივრებს, ერთი კვირა ჩაი არ დამილევინებია უშაქრობის გამო!.. რომელ ერთს გაუძლოთ: შიმშილს, სიტიტვლეს თუ სიცივეს?!.. ი კაცისაგან არის და აგარ კაი ხანია წერილი აღარ მოდის, ცუდ სიზმრებსა ვხედავ ნიადაგ ღამ და რაღაც ავს შემომკვნესის ეს სამიწე გული, უი უწინამც გული დამიწებია პელაგოს, რომ ნიკოს ურიგო არ გამეგოს!.. ფიქრობდა ავადმყოფობისაგან ჩამოყვითლებული პელაგო და თან თვალებზე მომდგარ ცრემლებს ცხვირსახოცით იწმენდდა შვილების შეუმჩნევლად.

— ლატომ ალ მოდის მამა, ლატომ, ის ყველაფელს ყიდულობდა და შენ კი ალაფელს ყიდულობ, ლოდის მოვა მამა, დედილო, ლოდის?..

— ლოდის მოვა და ლოცა ომი გათავდება! მიუგო დედის მაგივრად თავის პატარა დას გოგიამ და დედას მიუბრუნდა ტიტინით—ნეტავი მეც მამასთან ვიყვე, მივეშველო, გერმანია გავიფლინოთ. გუშინ ომობანა ვითამაშეთ და ისე დავიფლინე ბიჭები ლომა!..

— შენ ალ იყავი, ლომ წაიქეცი!—უთხრა ქეთომ გაჯავრებით გოგიას და დედას მოხვია ალერსიანად ხელი—მითხალი დედილო, მითხალი ლოდის მოვა მამა?!..

— მალე მოვა, მალე, გენაცვალოთ დედათქვენი, მაშინ ყველაფერს გიყიდით!—ანუგეშებდა პელაგო შვილებს, მაგრამ გული სულ სხვას უთქვამდა—ვეღირსები კია ნიკოს ნახვას?!.. უი უწინამც პელაგოს დანელებია მზე!..

— როგორც იყო სამი გირვანქა პური მერგო, შაქარი კი ვერ ვიყიდე, შენი ჯერი არ არისო, მცემეს კიდეც, „გარადოვემ“ წიხლი ამომკრა და ქუდი ტალახში გადამიგდო!—წარმოსთქვა ახლად მოსულმა თხუთმეტი წლის ვანომ და სიცივისაგან გალურჯებულ-გაჰარხლებული ხელები განელებულ ქესტის ღუმელს მიუფიცხა.

— ბარემ სულები ამოგვხადონ!.. ხვალ შობა არის ქრისტესი, ზოგს იმდენი სასმელ-საჭმელი ექნება, რომ ძაღლებსაც კი გა-



შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი.

დუღრიან და ჩვენ კი სიმშილში უნდა ამოგვძვრეს სული, ცხელი წყლის ნატრულებიც უნდა ვიყვეთ, ოხ უსამართლობავ, ფარისევლებო, ქრისტეს გამყიდველნო, იუდის კერძნო!.. საერთო წარღვნა მაინც მოავლინოს ღმერთმა, რომ წალეკოს უსამართლობა, ბოროტება!..

## II

პელაგოს მეუღლე დურგალი ნიკო ობლიშვილი განთქმული იყო ხელოსნობით მთელ ტფილისის დურგლებში და საკმაო ფულსაც იღებდა. თავის კვალობაზე, კარგად ინახავდა ცოლ-შვილს და თითონაც ყოველთვის პირნათლად გამოდიოდა ამქარში, ხოლო ერთი ჩვეულება ჰქონდა ქართველურად თან დაყოლილი. ეს ჩვეულება იყო ნაშრომის მთლად ხარჯვა, რასაც კი აიღებდა ცოტა იქნებოდა თუ ბევრი ყოველთვის ფლანგავდა და „შავი“ დღისთვის აღარ ზრუნავდა.

— მარჯვენა მქონდეს, ჯანი თორემ ერთ ლუკმა პურს მუდამ შევჭამ ჩემის ოფლით, არავის ამარა არ გავხდი ჩემ ცოლ-შვილს, სანამ ცოცხალი ვარ, ე ბალღებიც დამეზრდებიან და ცხოვრება როგორ გამიჭირდება!—იტყოდა ხოლმე ღვინით შეზარხოშებული ნიკო, როდესაც პელაგო უსაყვედურებდა ტყუილ-უბრალოდ ნაოფლარის ფლანგვას.

— რაც გინდა მამკითხე, პელაგო, თუნდ ჩიტის რძე მოგიტანო, აჰა რაც გინდა იყიდე—გადუყრიდა ხოლმე ცოლს მანეთიანებს ნიკო და შვილებს კიდევ ალერსიანად თითო ცალ კამფეტს ჩამოურიგებდა.

ის იყო ნიკო ობლიაშვილმა პატარა სამოსახლო ალაგი შეიძინა ტფილისის განაპირა ალაგას და როგორც იყო ერთი ოთახი ჩასდგა, რომ გამოცხადდა მსოფლიო ომი და სხვათა შორის ნიკოც მოჰყვა მობილიზაციაში, როგორც სათადარიგო ჯარის-კაცი.

— ბალღებს გაუფთხილდი, პელაგო, ბალღებს, მაგათი დარდი მიმყვება, აბა ყოჩაღად იყავი, ქალიც უნდა იყვე ოჯახისა და კაციც, არაფერი იდარდო, ღმერთი მოწყალეა!—გამოეთხოვა პირველად ნიკო პელაგოს და სათითოოდ გულში იხუტებდა შვილებს.

— ღმერთმა ერთი დღე ნუ მაცოცხლოს უშენოდ ჩემო ნიკო!..—ეუბნებოდა პელაგო ნიკოს და თან ცრემლებს იწმენდდა.

— მშვიდობით!..—წარმოსთქვა ნიკომ უკანასკნელად და მატარებელში აბიჯა ფეხები.

— მშვიდობით, მშვი...დ...ბ...ი...თ!..—წაილუღლუღა პელაგომ და ერთ ალაგს უძრავად გაჩერდა ქანდაკებასავით სანამ შეუბრალებელმა ორთქლმავალმა ქშენით არ გაიტაცა ბრძოლის ველზე მეომარნი და მათთან ერთად ნიკო ობლიაშვილიც...

## III

ზამთრის ამომავალმა მზემ ზანტად გადმოაფრქვია მკრთალი სხივები ადამიანთა სისხლით შეღებილ თოვლით დაფენილ მინდორველს, ერთხელ კიდევ ეამბორა აქა იქ უსულოდ დაყრილ ვაჟკაცთა გვამებს და თითქოს შეზარდა საშინელი სურათის ნახვაო ისევ ღრუბლებში მიიმალა, სამგლოვიარო ძაძა ჩამოიფარა პირზე.

მთელი მიდამო საზარელ სანახაობას წარმოადგენდა. ყუმბარებისაგან გადათხრილ-გავერანებულიყო ყველაფერი, რომლის ჯოჯოხეთურ სანახაობას უარესად აორკეცებდნენ სვავ ყორნები, რომელნიც ადამიანთა გვამებს დასტრიალ-დაყრანტალებდნენ სისხლით შესვრილნი.

მებრძოლთ თხრილებიდან მტრის თხრილებში გადაენაცვლათ და ახლად ისვენებდნენ.

— დათა, კაცო, ცოცხალი გადურჩი?—დაეკითხა გიგა ამხანაგს შესვენებისა და გონების მოკრების შემდეგ.

— ცოცხალი გადავრჩი ჩემო გიგა, ცოცხალი, ვენაცვალე ი ჩვენ წმინდა გიორგის მადლიდან რომ გადმოიყურება!.. მაგრამ... ეჰ, დაილოცა ღვთის სამართალი, რომ იტყვიან „სადაური სადა კვდება, სად უთხრიან სამარესაო“ ჩვენ თავზე არის, აქ სადა ვართ გადმოლუპულნი, გვეღირსება კია მიწის მიყრა?! ვაი თუ საყვავ-ყორნე გახდეს ჩვენი ლეში!.. პირველ შეტაკებაზე არ იყო ნიკო ობლიშვილი მომიკლეს გვერდში, მგონი ეხლაც ისე გდია მიწა-მიუყრელი!..

— ჩვენც ეგ დღე მოგველის—მ უგო ნაღვლიანად დათამ გ განაგრძო ისევ—როდემდის გადავრჩებით, ვერ უყურებ ომის გა ვებას ბოლო არ უჩანს?! დღეს არა ხვალ ტყვიის წერა გავხდებ და მკვდარიც დავიკარგებით და ცოცხალიც ამ გადმოკარგულ ვ რანა ალაგას!..

— მართალი ხარ დათა, მართალი, ის კაცი ბედნიერია თავის მიწა-წყალზე კვდება ჭირისუფლებისაგან დატირებული!.. მწყურიან საქართველოს ნახვა როგორც სიცხე პაპანაქებაში მო კალს მოსწყურდება წყალი დაღლილ გულზე!.. გუშინ წინ პატარ წამთვლიმა და ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ეხლაც მენატრება: ვ თომც საქართველოში ვიყავი, გადავხედე თუ არა ნაცნობ—მინდორ ველს, ქალებს, სადაც ღამის ხარი მიძოვებია და ჩემი სიყმაწვილ გამიტარებია სწორ-ამხანაგებში, სიხარულის ჟრუანტელმა დამიარ თითქოს ყოველი ბუჩქი მემცნაურებოდა!.. მაგრამ ტკბილი სიზმარ ჯოჯოხეთურ ბრძოლაზე შემეცვალა!..

— „ჩიტი საცა გაიზრდება, იმის ბაღდადი იქ არისო“ ტყუილა არ არის ნათქვამი, ოღონდ კიდევ მეღირსოს საქართველოს მიწ წყლის ნახვა, ჩვენებური ცა და ღრუბელი და სიკვდილი მადლო ღმერთს, ყველანი სიკვდილის შვილები ვარ, ჩემს მიწა-წყალ სიკვდილს ლხინად მივიჩნევ, მაგრამ აქ კი... ეჰ!..—ამოიგმინა და თამ და შუბლი შეიჭმუხნა.

— ნიკო ობლიშვილი კი არ დაიღუპა საქართველოსა დ ცოლ-შვილის ნატვრაში!.. რა კაცი იყო, სიტყვა ჰქონდა ჩემთან თუ მომივიდეს რამე ჩემ ცოლ-შვილს შეატყობინეთო, ადრესიც გადმამ ცა, მაგრამ ვინ იცის მე კი დამცალდება, რომ ანდერძი შეუსრუ ლო?!..—აქ დათას გული აუჩუყდა და თავი ჩაჰკიდა. ის იყო გიგაც ფიქრების ქსელში გაება, რომ საშინელმა ზარბაზნის სროლამ გააყ რუა ყველაფერი...

## IV

შობა დღე იყო, ყველა ბედნიერად ეგებებოდა ამ დღესასწაულს ვისაც კი გააჩნდა რამე, ვინც უზრუნველ-ყოფილი იყო საქარ ცხოვრებით. ტფილისის უმთავრესი ქუჩები მორთულ-მოკაზმული ხალხით იყო ავსილი, მაღალ ორ-სამ სართულიან სახლებიდან როიალის ხმა ისმოდა და პატარა ბალღების მხიარული სიცილ-ხარხარი, რომელნიც ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილნი სიმღერით უვლიდნენ გარშემო ნაირ-ნაირ მოსართავებით აბჭყვრიალებულ მობის ხეს.

ეკლესიებშიაც გაისმოდა ღაღადისი მოძღვრისა „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“!.. აქაც მრავლათ მოსულიყვნენ ძვირფას ფარჩეულში გამოწყობილნი მლოცველნი და ბლუჯა-ბლუჯა სანთლებს ანთებდნენ წმიდა ხატების წინ.

ხოლო ტფილისის განაპირა უბნებს არ ეტყობოდათ სადღესასწაულო ელფერი, სადაც შიმშილ-სიტიტვლეს და ათასნაირ ავადმყოფობას გაედგა ფეხი.

— შვილო, ვანო, რა გტკივა შენ გენაცვალოს დედა, შვილო!..—ჩაქვითინებდა პელაგო ავადმყოფ შვილს, ხოლო დედის ტირილზე პატარა ქეთო და გოგიაც ტიროდნენ.

— მალე რატომ არ შემატყობინეთ!—წარმოსთქვა ტანდაბალმა ექიმმა, რომელიც ვანოს შინჯავდა.

— მთელი ქალაქი შემოვიარე ბატონო ექიმო და თქვენს მეტი არავინ წამომყვა.—მიუგო პელაგომ და დაეკითხა—როგორ არის, ხომ მორჩება, ბატონო ექიმო?

ექიმი უსიტყვოდ იდგა და ვერაფერი მოეხერხებინა.

— მითხარით, მითხარით, ღვთის გულისთვის ემუდარებოდა პელაგო.

— გვიანღა არის, ბავშვი მსხვერპლია საშინელი ანთებისა!..—წარმოსთქვა ნაღვლიანად ექიმმა.

— მაშ ვიღუპები!..—შემოიკრა თავში ხელები პელაგომ და უსიტყვოდ დაეკონა მომაკვდავ შვილს.

პ. დვანელი.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.